

## მაია ფირჩხაძე

### კომპიუტერული ტექნოლოგიები და გაკვეთილზე მათი გამოყენების თავისებურებები

თანამედროვე ცხოვრების რიტმი არავის ინდობს. ძნელია მისი ატანა მოსწავლეებისთვისაც, რადგან მათ მიმართაც გამუდმებით იზრდება მოთხოვნები: იკითხონ გაკვეთილებზე, უპასუხონ შეკითხვებს, შეასრულონ დავალებები და ა.შ. საქმე კიდევ უფრო რთულდება, როცა ინტერესი ნაკლებია ან სულაც არ არის - მოზარდთა უმრავლესობა ხომ მასალას აღიქვამს არა პრინციპით „ძნელია“/„ადვილია“, არამედ „საინტერესოა“ ან „უინტერესოა“.

როცა სწავლება ბუნებრივად და სასიამოვნოდ მიმდინარეობს, ადამიანი ნასწავლს იმახსოვრებს, ხოლო იმის მიმართ, რაც არ მოსწონს, გულგრილია და ცდილობს, მალე დაივიწყოს. აი, აქ შეგვიძლია, მასწავლებლებისა და მოსწავლეების დასახმარებლად გამოვიყენოთ თანამედროვე საინფორმაციო-კომუნიკაციური ტექნოლოგიები, რომლებიც საგაკვეთილო პროცესის უფრო და უფრო აუცილებელი ატრიბუტები ხდება - მათი მეშვეობით ადვილია მასალის ახსნა, ნაკლები მხარეების შევსება და დიდია ინტერესიც მოსწავლეთა მხრივ, ამიტომ საგაკვეთილო პროცესში ამ ტექნოლოგიების ჩართვა ძალზე შედეგიანია.

### სახელდობრ რა უპირატესობა აქვს კომპიუტერული და მულტიმედიური პროგრამების გამოყენებას გაკვეთილზე?

#### კომპიუტერული და მულტიმედიური პროგრამების მეშვეობით:

- ფართოვდება და მდიდრდება სწავლების დიდაქტიკური პრინციპები (მიღწევადობა, სისტემატურობა, შედეგობრიობა);
- აქტიურდება სწავლების ინდივიდუალური მხარე და ინდივიდუალურობა;
- უმჯობესდება მოსწავლის როგორც ინტელექტუალური, ისე შემოქმედებითი მოღვაწეობა;
- მალღდება მოტივაცია;
- ყალიბდება ვიზუალურ-ხატოვანი აზროვნება;
- ვითარდება მოტორულ-ვერბალური კომუნიკაციური უნარები;
- ფორმირდება ინფორმაციის დამუშავების უნარები (ძიების, შერჩევის, გადამუშავების, ანალიზის, სინთეზის და ა.შ.).

#### კომპიუტერული ტექნოლოგიები ყველაზე ხშირად გამოსაყენებელია ორი ტიპის დავალების შესრულებისას:

ა. მოსწავლის პრეზენტაცია;

ბ. გაკვეთილი-პრეზენტაცია.

ა) **მოსწავლის პრეზენტაცია.** პროგრამა PowerPoint მოხერხებულია ამ ტიპის დავალების შესასრულებლად. მასზე დაყრდნობით შესაძლებელია გაკვეთილ-კონსპექტის მომზადება, მასში ვიდეოფრაგმენტების, ილუსტრაციებისა და ფოტომასალის ჩართვა, თემის შეჯამება და ა.შ. ამ გზით მოსწავლე ხალისით და ეფექტურად ეუფლება ცოდნას. ამას ხელს უწყობს ამ ტექნოლოგიის მეორე დადებითი მხარეც: მოსწავლეებს უაქტიურდებათ ორი ტიპის მეხსიერება - ვიზუალური და სმენითი, რაც მათ საშუალებას აძლევს, უკეთ აითვისონ მასალა. იმავდროულად პრეზენტაციის მომზადებისას სრულდება დიდი მოცულობის სამეცნიერო სამუშაო, ვითარდება

ლოგიკური აზროვნება, დემონსტრირების, თვითშეფასების უნარი, შესაძლებელია ჯგუფური დავალებების შესრულებაც, გაკვეთილები კი საინტერესო და სასიამოვნოა.

**ბ) გაკვეთილი-პრეზენტაცია.** აქტივობის ეს ტიპი წინასწარ მომზადებას მოითხოვს, მაგრამ საშუალებას გვაძლევს, გამოვიყენოთ აქტიური სწავლების მეთოდებიც. ინტერაქტიული ტაბულების, სქემების, დიაგრამების, რუკების, კროსვორდების გამოყენება ამდიდრებს მასალას, ხელს უწყობს ცოდნის აქტუალიზაციას (მაგალითად, მოსწავლეთა თვალსაჩინოებისთვის ინტერაქტიული ტაბულებიდან და სქემებიდან შეგვიძლია ეკრანზე გამოვიტანოთ სქემა შეუვსებელი სვეტით (თარიღებზე, ისტორიულ პირებზე, ქიმიურ ელემენტებზე, ბუნების მოვლენებზე და სხვ.). ამით გაკვეთილი საინტერესო და ემოციური გახდება.

თუმცა, ცხადია, საინფორმაციო ტექნოლოგიებმა კი არ უნდა შეცვალოს, არამედ გაამდიდროს არსებული პედაგოგიური ტექნოლოგიები; კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებისას არც ძველი მეთოდები უნდა დავივიწყოთ: ძლიერ მოსწავლეებს დავავალოთ კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება, ხოლო სუსტებს შევთავაზოთ ილუსტრაციები, რუკები, სქემები, რომლებიც გაამრავალფეროვნებს ასათვისებელ მასალას.

**განვიხილოთ მაგალითები.**

**მაგალითი I - ისტორიის გაკვეთილი**

**თემა: საზოგადოებრივი მოძრაობები XIX საუკუნის საქართველოში**



**დავალება:** მოსწავლეებს შეიძლება ასეთი დავალება მივცეთ - შეავსეთ შედარების სკალა ისტორიული პირების სახელებით.

მოსწავლეები ჯგუფურად შეავსებენ ნაკლებ ინფორმაციას, მერე კი ეკრანზე გამოდის სწორი პასუხები და მოსწავლეები ამოწმებენ შესრულებულ დავალებას.

ამავე ტიპის დავალება შეიძლება მივცეთ ტერმინების ათვისების შესახებაც: აქამდე მოსწავლეები ხშირად „იზებირებდნენ“ ტერმინებს, მაგრამ კომპიუტერის მეშვეობით ეს გაცილებით ადვილი მისაღწევია.

### მაგალითი II - განვიხილოთ ტერმინი „სამრეწველო გადატრიალება“

ეკრანზე გამოდის ცარიელი სქემა („მზე“ ან „გვირილა“), შემდეგ მოსწავლეები ჩამოთვლიან ცნებებს, რომლებიც, მათი აზრით, ასოცირდება სამრეწველო გადატრიალებასთან და ავსებენ ცარიელ სივრცეს:



შედეგი: მოსწავლეები მიიღებენ განსაზღვრებას, რომ სამრეწველო გადატრიალება - ეს არის გარდამავალი პერიოდის მანუფაქტურული (ხელოსნური) წარმოებიდან მსხვილ სამრეწველო წარმოებაზე გადასვლა, რომლითაც ხელით შრომამ შეცვალა სამანქანო წარმოება. მიღებულ განსაზღვრებას მოსწავლეები რვეულში იწერენ.

ასევე წარმატებით შეგვიძლია გამოვიყენოთ კომპიუტერი ისეთი აქტივობების დროს, როგორებიცაა:

- თემატური კროსვორდების შევსება და სხვა ტიპის სახალისო დავალებების შესრულება;
- ტესტირება (განსაკუთრებით საინტერესოა სამუშაო, როდესაც ტესტების შედეგს თავად მოსწავლეებს ვავალებთ);
- მულტიმედიური ლექციები, პროექტული სამუშაო, ლაბორატორიულ-პრაქტიკული მეცადინეობები (ისტორიულ წყაროებზე, ილუსტრაციებსა და დოკუმენტებზე მუშაობა და ა.შ.);
- ინტერაქტიული სქემების და სხვ. გამოყენება.

როგორც ვხედავთ კომპიუტერი მოსწავლეთა ინფორმირების გაზრდის საშუალებაა. მაგრამ მთავარი მათი სწორად შეერთება და გამოყენებაა. მაგალითად, როდესაც კონკრეტულად ისტორიასა და საზოგადოებათმცოდნეობაზე საუბარი, არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ამ დისციპლინების სპეციფიკა - თანამედროვე კლასიფიკაციით, ისინი მიეკუთვნებიან საგნებს, რომლებშიც წამყვანი კომპონენტი ორიენტირებულია ღირებულებებზე.

ამ საგნების სწავლებისას შეუძლებელია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება სუფთა სახით. აქ საჭიროა ყველაზე მოხერხებული ვარიანტის პოვნა. სადღეისოდ ყველაზე აქტუალურად და პერსპექტიულად მიიჩნევა საინფორმაციო ტექნოლოგიებთან შეერთებული ბლოკმოდულური და ერთიანი, ერთ ბლოკად შეკრული სწავლება.

ამ დროს გამოიკვეთება შემდეგი საკითხებიც:

- გაკვეთილის მიზანი (სტანდარტის მიხედვით ფორმულირებული);
- მოსწავლეთა ისეთი უნარების ფორმირება, როგორებიცაა თემატურად აქცენტირებული კონსპექტის მომზადება, შედეგების შეჯამება, ძირითადი აზრის გამოყოფა, ჯგუფური მუშაობა და ა. შ;
- თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების შესაძლებლობა (ისტორიული მოვლენების შეფასების, თანამედროვე ცხოვრებასთან პარალელების გავლების შესაძლებლობა და სხვ.).

### პრაქტიკული სამუშაო

#### საგაკვეთილო რესურსები:

- კომპიუტერი, პროექტორი, ეკრანი;
- სქემა „სამხრეთ კავკასიის დაპყრობა რუსეთის მიერ. კავკასიის ომი“;
- ისტორია, VIII კლ. სახელმძღვანელო, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2012;
- ლექსიკონი (მ. ჭაბაშვილი, "უცხო სიტყვათა ლექსიკონი", 1989);
- პრეზენტაცია - სლaidმოუ „საქართველო და კავკასია XVIII-XIX საუკუნეებში“.

#### გაკვეთილის გეგმა:

1. საუბარი-მოტივირება;
2. შესავალი-გამეორება. კითხვების დასმა განვლილი მასალიდან;
3. ახალი მასალის ათვისება კონსპექტ-სქემაზე დაყრდნობით.

#### მასწავლებლის ლექცია შემდეგ საკითხებზე:

ა) საქართველოს, სამხრეთ კავკასიისა და მეზობელი ქვეყნების საერთო პოლიტიკური მდგომარეობა;

ბ) საქართველოს საგარეო პოლიტიკა;

გ) საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის თავისებურებები;

დ) რუსული მმართველობის ხასიათი.

4. მოსწავლის მუშაობა სახელმძღვანელოს ტექსტზე, იმავდროულად - სქემების, გეგმის, თეზისების შედგენა და ა.შ.;

5. ცოდნის გაღრმავება მოცემულ თემაზე;

6. განმტკიცება, ჯგუფებში მუშაობა;


7. შედეგების შეჯამება, განზოგადება;


8. რეფლექსია;

9. შემაჯამებელი ტესტირება;

10. კორექცია, შეცდომების აღმოჩენა და მათი გასწორება ჯგუფში.

თემატურად აქცენტირებული კონსპექტი-სქემა „საქართველო XVIII საუკუნის დამლევეს“





შემაჯამებელი ტექსტის საკითხები თემისთვის „სამხრეთ კავკასიის დაპყრობა რუსეთის მიერ. კავკასიის ომი“

## I ჯგუფის დავალება

1. გაანალიზეთ საქართველოს რუსეთთან შეერთების მიზეზები და გამოყავით ძირითადი საკითხები.
2. განსაზღვრეთ საქართველოს სამეფო ხელისუფლების კურსი რუსეთსა და მეზობელ ქვეყნებთან მიმართებით; რა იყო ასეთი პოლიტიკის მიზეზები და მიზანი?
3. დაახასიათეთ ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII-ისა და რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ის მიმართველობა.
4. შეაფასეთ XIX საუკუნის დასაწყისის პოლიტიკური მოვლენები.

## II ჯგუფის დავალება

1. განსაზღვრეთ სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ძირითადი მახასიათებლები XIX საუკუნის დასაწყისისთვის.
2. რა კონკრეტულმა პრობებმა შეუწყო ხელი რუსული მმართველობის დამყარებას სამხრეთ კავკასიაში?
3. გამოყავით მეზობელი ქვეყნების როლი სამხრეთ-კავკასიის რუსეთთან დაახლოებაში.
4. შეაფასეთ მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების მნიშვნელობა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის.

მიღებული შედეგების პრეზენტირება შესაძლებელია ელექტრონული ფორმითაც. შეიძლება მისი გამოყენება პასუხების შესამოწმებლადაც.

ასეთი სწავლებისას წარმატების მისაღწევად არ უნდა დავივიწყოთ მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზების აუცილებლობა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მოსწავლე მხოლოდ მასწავლებლის მონათხრობით კი არ ითვისებს მასალას, არამედ პირადი, დამოუკიდებელი მუშაობის გზითაც.

ფაქტია, რომ ახალი ტექნოლოგიები ხელს უწყობს მოსწავლეთა შემეცნებით საქმიანობას და ეფექტურია სასწავლო პროცესის დადებითად წარმართვისთვის.